ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №83/4

ქ. საგარეჯო 25 ოქტომბერი 2013წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული.
1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“(შემდგომ „შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას“ რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ბუზარიაშვილის სახით, საიდენტიფიკაციო კოდი 238154849, მისამართი: ქ. საგარეჯო დავით აღმაშენებლის ქ. №9, ა/ა GE71LB0120138521931001, ბანკის კოდი LBRTGE22 ს.ს „ლიბერთი ბანკი“-ს საგარეჯოს ფილიალი (შემდგომში „შემსყიდველი“) და
მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „სოსლან გარსევანიშვილი“-ს სახით, საიდენტიფიკაციო კოდი 01007004820, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ყიფშიძის ქ.№9, ა/ა GE54LB0112112293119000; ბანკის კოდი LBRTGE22 ს.ს „ლიბერთი ბანკი“-ს საგარეჯოს ფილიალი (შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი”). ტელ: **579 33 32 88**

3.ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ლამბალოს გზის რეაბილიტაციის (მიწის ვაკისის აღდგენა) სამუშოების შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდი 45200000) ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი 3 (სამი) ფურცლად), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თანახმად საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტისა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულების ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე.

თ. ბუზარიაშვილი

4. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
4.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **64847,57** (სამოცდაოთხი ათას რვაასორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 25 დეკემბრამდე.**
5.2. მიწოდების ადგილია: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ლამბალო.

6. ანგარისწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1მიმწოდებელთან სამუშაოების ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარისწორებით.
6.2 შუალედური ანგარისწორება მოხდება შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი ფორმა №2–ის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე.
6.3 საბოლოო ანგარისწორება მოხდება შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი ფორმა №2–ის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ 10 დღეში.

6.4 შემსყიდველი უფლებას იტოვებს ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე, რომლის დაკვეთასაც უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი სახსრებით, შეაჩეროს თანხის გაცემა სახელშეკრულებო ღირებულების 10%–ის ოდენობით. ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება 10 საბანკო დღის განმავლობაში.

6.5 ანაზღაურების ადგილი: ქ. საგარეჯო

6.6 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობებზე არსებობს შემსყიდველის მიერ დადასტურებული აქტი.

7. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
–ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
–ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული სამუშოების ღირებულება;
7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;;
– საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობები;
– დააკმაყოფილოს შემსყიდველის თხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- პროექტის განხორციელებისას შეძლებისდაგვარად დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა.

7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არიქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტაციის შესრულებისა და სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს დამკვეთი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური პირობებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი საუშაოების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

10.2 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის

თ. ქავიტაძე

მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას ორივე ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

11.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სამუშაოს დამთავრების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

11.2 შემსყიდველი ადგილზე ამოწმებს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

11.3 სამუშაოს (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და ან საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმფხვრა მოხდება მიმწოდებლის საკუთარი ხარჯებით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 25 იანვრამდე.**

14. გარანტია და ხარისხი

14.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, რომ ჩატარებული სამუშაოები იქნება მაღალხარისხოვნად შესრულებული. **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ლამბალოს გზის რეაბილიტაციის სამუშოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს 2 წელს** სამუშაოების მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა თუ ეს დაზიანება განზრახ არ არის მიყენებული.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1% პროცენტის ოდენობით.

15.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულებაში მითითებულ 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15.3. ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებიმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თვიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4. ხელშეკრულება დგება ორ იურიდიული თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა ხელმოწერა, ბეჭედი

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:	ინდ. მეწარმე „სოსლან გარსევანიშვილი“
პაატა ბუზარიაშვილი	სოსლან გარსევანიშვილი